განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი). აღნიშნული კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრულად გამიჯვნისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებათა დელეგირების მიზნით შესაბამისი სფეროების განსაზღვრა და საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო აქტის პროექტის წარდგენა.

შესაბამისად, კანონპროექტის მომზადების მიზეზია აღნიშნული საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების მიზანია, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში (შემდგომში - კოდექსი) შინაარსობრივი და ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილების განხორციელება და კოდექსის სრულყოფა.

გარდა ამისა, კანონპროექტით მოხდება ზოგადი განათლებისა და კულტურის სფეროში მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების განსაზღვრა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის უზრუნველყოფის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად განსაზღვრა, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების დაზუსტება.

აგრეთვე, ზუსტდება მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მართვის კუთხით და წყლის რესურსის მართვა აღარ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. შესაბამისად კორექტირდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება, ამასთან მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას ემატება სათათბირო ორგანოების შექმნის უფლებაც.

ახლებურად ჩამოყალიბდა ასევე იმ სფეროების ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი უფლებამოსილების ფარგლებში გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას.

ამასთან, აღმოიფხვრა კოდექსში არსებული უზუსტობები, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო ზედამხედველობის მიმართ გამოსაყენებელ ტერმინებს.

აღსანიშნავი ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე არ ვრცელდება 1997 წელს მიღებული „საჯარო სამსახურის

შესახებ“ საქართველოს კანონი. 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული პირები ექცევიან მოხელეებში და მათზე ვრცელდება ამ კანონის მოქმედება. ახალი კანონი სრულად ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვარს, თუმცა ზემოაღნიშნულ პირებზე გავრცელდება კოდექსის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის რეგულაცია, რომელიც ახალი საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონისაგან განსხვავებულ რეგულაციას ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების უფლებამოსილების შეჩერების, შეწვეტის საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნისნული რეგულაცია საჭიროებს ახალ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონთან სესაბამისობაში მოყვანას 2017 წლის 1 იანვრიდან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კოდექსის მთელს ტექსტში, გამოყენებულია ტერმინი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ხოლო, თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც გააჩნია ორგანოები. შესაბამისად, კანონპროექტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ორგანოს აღსანიშნავად, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს“ და „თვითმმართველი ერთეულის“ ნაცვლად, გამოყენებული იქნება ერთი ტერმინი - „მუნიციპალიტეტის ორგანო“.

ამასთან, კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ზუსტდება, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - მუნიციპალიტეტის ორგანოები.

აღნიშნული ტერმინილოგიური ხასიათის ცვლილების გარდა, კოდექსში ხორციელდება მთელი რიგი შინაარსობრივი ცვლილებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება გარკვეული საკითხებისა და რეგულაციების დაზუსტება და შემოღება.

კოდექსის მე-4 მუხლს ემატება 2^1 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებების შესახებ ზოგადი მონაცემების ერთიანი აღნუსხვის მიზნით დასახლებათა სისტემური ერთობლიობის - დასახლებათა რეესტრის შექმნის საკითხს. აღნიშნულ რეესტრში, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტებს რეესტრში, დასახლებათა რეგისტრაციას, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად განახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. აღნიშნული რეგულაცია ხელს შეუწყობს, მუნიციპალიტეტებში არსებული დასახლებების შესახებ ინოფორმაციის სისტემატიზაციას.

არსებითი ცვლილება შეეხო ასევე კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ნაწილსაც. კოდექსის მე-16

მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლის რესურსების მართვა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო შიმუშავა დარგობრივი კანონი, კერძოდ კი, „წყლის რესურსების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ამკვიდრებს წყლების სააუზო მართვის სისტემას. არც აღნიშნული კანონი და არც ხსენებული სისტემა არ ითვალსწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის წყალს, როგორც წყლის რესურსს. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება კი ვერ იქნება იმ ტიპის ბუნებრივი რესურსის მართვა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. ამასთან, არსებული პრაქტიკაში მსგავსი სახის რესურსი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არასდროს არ ყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება იქნება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსის, მათ შორის ტყის და მიწის რესურსების მართვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილება აისახა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებში და მას ექნება უფლება დაადგინოს მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყის რესურსების მართვის წესები. ამასთან, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა კოდექსის 107-ე მხლში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქონებად განიხილება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსი.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიც ცვლილების პროექტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის დელეგირებულ უფლებამოსილებებად განისაზღვრება საჯარო სკოლის მოვლა-შენახვა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, რეაბილიტაცია/შეკეთება, მშენებლობა/რეკონსტრუქცია და მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. თუმცა, იმისთვის, რომ ეტაპობრივად მოხდეს ზოგადი განათლების სფეროში მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილების განსაზღვრა, კოდექსს ემატება 159[1] მუხლი, რომლის შესაბამისადაც, 2018 წლის 1 იანვრამდე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ, ზოგადი განათლების სფეროში, კერძოდ საჯარო სკოლაში მოსწავლის ტრანსპორტირების, საჯარო სკოლის მოვლა-შენახვის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის სფეროში, მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილების განსაზღვრის მიზნით, საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის, საქართველოს პარლამენტში წარსადგენად, წარდგენა.

ცვლილების მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად მკვირდება ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების, ასევე კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები.

მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად კულტურის სფეროში განისაზღვრება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-შენახვა,

რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა.

პროექტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებას ემატება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების უზრუნველყოფა, ვინაიდან აღნისნული სფერო წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხს, ამასთან, აღნიშნულ სფეროში მუნიციპალიტეტები პრაქტიკულად, ამჟამადაც ახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს. შესაბამისად, მიზანშეწონილი გახდა მისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

ცვლილება შეეხო კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრულ მუნიციალიტეტის ე.წ. „ნებაყოფლობით უფლებამოსილებებსაც“. კერძოდ, კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოდექსი განსაზღვრავს სფეროების ჩამონათვალს, რომელთა მიმართებითაც შეუძლია მუნიციპალიტეტს განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული სფეროების ჩამონათვალს ემატება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და ვეტერანთა სოციალური დაცვა, ასევე, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დაფინანსება, ოჯახში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების ხელშეწყობა. ხსენებულ საკითხებში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები განსაზღვრული იყო შესაბამისი დარგობრივი კანონებით. თუმცა, ვინაიდან, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები განისაზღვრება მხოლოდ კოდექსით და ვინაიდან, აღნიშნული საკითხები არც დელეგირებულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, მოხდა მათი გადმოტანა კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში, რის შედეგადაც, აღნიშნულ სფეროებში მუნიციპალიტეტი შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებს როგორც „ნებაყოფლობით“ უფლებამოსილებას.

კანონის პროექტის შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება კოდექსის მე-20 მუხლში, რომელიც ატარებს ტექნიკურ ხასიათს. კოდექსის 106[1] მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების საკითხს, ხოლო მე-20 მუხლში საუბარია მუნიციპალიტეტების მიერ თავიანთი საქმიანობის კოორდინაციისა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებისათვის არასამეწარემო (არაკომერციული) იურიდიული პირის/პირების დაფუძნებაზე და მათში გაწევრებაზე. აღნიშნული იურიდიული პირი იქმნება იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტების სახელით კოორდინაცია გაუწიონ

ერთობლივ ღონისძიებებს, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარ განხილვასა და კონსულტაციებში, ითანამშრომლონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან (ასოციაციებთან), აგრეთვე დაამყარონ ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში შესაბამის უცხოურ კავშირებთან (ასოციაციებთან) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შესაბამისად, კოდექსის მე-20 მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება მიზნად ისახავს, კოდექსში ბუნდოვანების აღმოფხვარს, იმისთვის, რომ არ მოხდეს კოდექსის მე-20 მუხლითა და 106[1] მუხლით განსაზღვრული იურიდიული პირების ერთი და იმავე იურიდიულ პირად მიჩნევა.

პროექტის თანახმად, საკრებულოს ემატება ფუნქცია, რომ ცალკეული საკითხების შესასწავლად, დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად შექმნას სათათბირო ორგანოები. შესაბამისად, საკრებულოსთვის აღნიშნული ფუნქციის მინიჭება მიმართულია მისი ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესებისა და ხელმშეწყობისაკენ.

კანონის პროექტის შესაბამისად, ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტი, იმისთვის, რომ აღმოიფხვრას აღნიშნული მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების არაერთგვაროვნად განმარტების საკითხი, კერძოდ, დაზუსტდება, რომ მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, თანხმობა არ იქნება საჭირო, თუ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს გადასცემს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილება შეეხო კოდექსით გათვალისწინებულ ზედამხედველობის განხორციელების საკითხს. საქართველოს კონსტიტუციის 101[3] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება კანონით, ანუ კოდექსით დადგენილი წესით. მუნიციპალიტეტის საქმიანობა კი ხორციელდება ან საკუთარი, ან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად. აღნიშნული უფლებამოსილებებს შორის არსებული სხვაობის შესაბამისად კი, განსხვავდება და

განისაზღვრება სახელმწიფო ზედამხედველობის სახეები და წესი, რასაც არეგულირებს კოდექსი.

კოდექსი იცნობს სახელმწიფო ზედამხედველობის ორ სახეს: დარგობრივი ზედამხედველობა, რომელიც ხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილებების მიმართ და სამართლებრივი ზედამხედველობა, რომელიც ხორციელდება საკუთარი უფლებამოსილებების მიმართ. კოდექსის არსებული რედაქცია, ზოგიერთ შემთხვევაში არ აკონკრეტებდა სახელმწიფო ზედამხევდელობის სახეს. მაგ.: კოდექსის 134 და 135-ე მუხლები, სადაც დარგობრივი ზედამხედველობის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი - სახელმწიფო ზედამხედველობა.

ხსენებული უზუსტობის გამო, დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელებისას შესაძლო ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ხდება კოდექსის შესაბამისი ჩანაწერების კორექტირება და იმ შემთხვევაში, თუ რეგულაცია ეხება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე ზედამხედველობას, გამოიყენება ტერმინი - დარგობრივი ზედამხედველობა, „სახელმწიფო ზედამხედველობის“ ნაცვლად. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ორივე ტიპის ზედამხედველობის განხორციელებაზეა საუბარი, გამოყენებულ იქნება ტერმინი - „სამართლებრივი/დარგობრივი ზედამხედველობის ორგანო“.

კანონის პროექტის შესაბამისად, შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, აგრეთვე უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები მოწესრიგდება ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ისევე როგორც სხვა საჯარო მოხელეების.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.